ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 13

"25" იანვარი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი 37-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.14.005.163) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებისა და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი 37-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.14.005.163) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 დეკემბრის №18.1103.1542 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი 37-ის მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი 37-ში მდებარე 1590 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 1, 2, 3 შენობა-ნაგებობების (ს/კ: №01.14.14.005.163) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, შპს „ბი ეს არ - სი დი ჯი დეველოპმენტის" (ს/ნ: 204513687) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე 3839 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.15.001.390) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**